

## ხალხური ყოფა-ცხოვრების ნიმუშები არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანში“

**აბსტრაქტი:** არჩილ მეფის მიერ შექმნილი დიდაქტიკურ-მორალისტური ხასიათის ნაწარმოები „საქართველოს ზნეობანი“ ჩვენი დაინტერესების საგნად ფოლკლორული მიზნით შესწავლის თვალსაზრისით იქცა. არჩილ მეფის შემოქმედება „მართლის თქმის“ პრინციპებისა და ბიბლიური მოტივების თვალსაზრისით არა ერთხელ ყოფილა განსჯის თემა. ჩვენი დაკვირვების თემად ეს ნაწარმოები სწორედ იმ მიზეზით იქცა, რომ მსგავსი ტიპის ნაწარმოები ვერ მოწყდებოდა ყოფისა და ცხოვრების დეტალების აღწერას, რომელშიც ყველაზე მძლავრად იგრძნობა ხალხური მოტივები, რომლებსაც ავტორი გვერდს ვერ აუვლიდა ტექსტში. არ დაგვავიწყდეს, რომ არჩილი არ არის მხოლოდ შემოქმედი „საქართველოს ზნეობანისა“, ის მეფეა და ამ ზნეობის ჩამოყალიბების საქმეში ერთ-ერთ უდიდესი აქტორია ლიტერატურული, კულტურული თუ პოლიტიკური თვალსაზრისითაც. სწავლა-განათლებისა და აღზრდის საკითხების საჯაროდ განხილვა მეფემ მიზნად დაისახა და ნაწარმოებში არა ერთი ყოფა-ცხოვრებითი, ტრადიციად ქცეული დეტალია განხილული. ვეცდებით დაკვირვების, ფოლკლორულ მასალებთან შედარება-შეჯერების საფუძველზე განვიხილოთ ნაწარმოები. კვლევა საინტერესოდ წარმოაჩენს არა მხოლოდ მეფე-პოეტის ოსტატობასა და ნაწარმოების მხატვრულ ღირებულებას, არამედ ასახავს ქართული ყოფა-ცხოვრების, რაინდობის, ასპარეზობისა და ზნეობის, მკითხაობის, ზღაპრობის, შრომის საქმიანობის, გართობის, აკრობატობის ტრადიციულ ასპექტებს, რომლებიც მეფე-პოეტის მიერ საზოგადოებრივ, კულტურულ და ზნეობრივ საკითხთა ნაწილადაა წარმოდგენილი..

**საკვანძო სიტყვები:** ზნეობა, ჩვევები, ადათ-წესები.

Bela Mosia

## Details from Folk Materials in the “Moral of Georgia” by King Archil

**Abstract:** In our scientific work about “Moral of Georgia” we focus on some materials from folklore and traditions. The main value of “Moral of Georgia” is the motif of didactic and concern of value of the true

stories. This literary heritage can not be without details from every day life in which the folklore exists. We have to mention that author is not only poet, but he is the king and he is the main actor of the process of moral life of the country from the point of view of culture, politics and literature. His main aim during working on this story is moral, education and there are discussed several folklore motifs and details from every day's life. The method we choose for scientific work is comparative method with folklore. This work will be attempt not only for giving sense of the value of the story and author's mastery but to show the different traditions kept in a country, storytelling, fortune telling, working traditions, knighthood, having fun, physical competitions, acrobats which are the part of moral and ethic of the nation.

**Key words:** *moral, habits, rules.*

საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ „საქართველოს ზნეობანი“ არის თხზულება ადამიანის დანიშნულებაზე ქრისტიანული მრწამსის გათვალისწინებით, მოითხოვს ამავე ნაწარმოების უფრო ფართომასშტაბურად კვლევას. ავტორს ამ კონკრეტული თხზულებით წარმოჩენილი აქვს იმდროინდელი ქართული ზნეობრივი ნორმები, რომლებიც მხოლოდ ხალხის ყოფით მასალებს ეყრდნობა. მართებულად მიუთითებს სოფო გვარამაძე თავის დისერტაციაში „მეფე-პოეტის ფართო მასშტაბის ლიტერატურული მოღვაწეობა ახალი საფეხურის დასაწყისია ჩვენი ეროვნული მწერლობის და საერთოდ კულტურის ისტორიისა“ (გვარამაძე 2014, 8). ამის გათვალისწინებით, შევნიშნავთ, რომ არ არსებობს კულტურა ხალხური ცნობიერების გარეშე. ყოველი კულტურული მონაპოვარი ერის სულიერი და ინტელექტუალური საკუთრებაა და ფოლკლორი, ყოფისა და ცხოვრების ამსახველი დეტალები ამ კულტურული სიმდიდრის ერთ-ერთი საუკეთესო მონაწილეები არიან. მკვლევარი როლანდ თოფჩიშვილი მიიჩნევს, რომ „ქართულ ეთნოლოგიაში ეპოქად შეიძლება მივიჩნიოთ XVIII საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწის ვახუშტი ბაგრატიონის შემოქმედება“ (თოფჩიშვილი 2013: 96). მართალია, არჩილ მეფის შემოქმედება ეთნოლოგიის ნამუშევრად არ ითვლება, მაგრამ „საქართველოს ზნეობანი“ ეთნოგრაფიული კვლევის თვალსაზრისით ვახუშტი ბაგრატიონის კვლევას უსწრებს.

უდავოა, რომ არჩილ მეფის ლიტერატურული ფენომენი ხალხურ სიტყვიერ და ევანგელურ მსოფლხედვას ეფუძნება. ლიტერატურაში სპარსოფილობის წინააღმდეგ გალაშქრებული არჩილ მეფე ცდილობდა ლიტერატურაში ეროვნული ტენდენციების დაცვასა და გავრცელებას, რაც ვერ მოხდებოდა ხალხური ცნობიერების გვერდის ავლით. თხრობა ტრადიციულად უფლისადმი მიმართვით იწყება. „სამხატვარი“ ერთბუნებოვანი უფალი, ხორცქმნილია ჩვენდა

მეოხად, მართალთა მოწყალე და სულგრძელია. „მარგალიტ მყოფი მწვირისა“ და უძლურთა ძალის მიმცემი უფალი გმირის „მომჯახბნებელია“, „მაღალთა მამდაბლებელი, ამძალელებელი მწირისა“. ტექსტზე დაკვირვება არა ერთ მაგალითს გამოავლენს, რომლებიც ყოველდღიური ყოფის, ერის კულტურული ცხოვრების საინტერესო ნიმუშებია და შემდგომ შეფასებულია ავტორის მიერ როგორც ზნეობრივად სასარგებლო თუ საზიანო, რომლებიც უნდა გაითვალისწინოს მკითხველმა ავტორის რჩევისამებრ.

ავტორი ჩამოთვლის ზნეობათა სახეებს: „სამღვთო და ანუ სამხედრო, მშვებლის და მოვავლახარის, ლაშქრობის, ნადირობისა“ (3) ამ უკანასკნელს „რომელმან კაცი ახარის“, ანუ კაცთა შესაქცევრად მიიჩნევს და ხმამაღლა აცხადებს ის, ვინც „საქციელ სამსახურისა იცის“, ცოდნითაც შემკულია. „სამხედრო“ არჩილთან გაიაზრება არა მხოლოდ როგორც საერო, არამედ როგორც „მშვებლის და მოვავლახარის, ლაშქრობის, ნადირობისა“.

ჩამოთვლილ ზნეობათაგან ყოველივეს თავად და ბოლოდ საღვთო ზნეობას ასახელებს.

„შესაყრელობა, ალერსი“ ყოველი ზნის ნაწილია და მას ადამიანის „ნისლის“ ანუ დარდის გაფანტვა სჩვევია. სხვა ზნეობა-საქციელთაგან გამოყოფს: „მშვილდ-ისარი და ბურთობა“ ცხენით ჯირითი. სიმღერა-ცეკვის ჩამოთვლისას არჩილ მეფე ქართული ეროვნული ტრადიციული ცეკვა-მღერის ნიმუშებს ჩამოთვლის. კარგი ხმა და „თან უსული შევიყვაროთ“ მოგვიწოდებს და მას ქართული მასპინძლობისა და ჩუქების ნაწილად მიიჩნევს ქართულ სუფრაზე. „გარიგება მალაქისა“, რომელიც საბას მიერ განიმარტება როგორც: „მარაქა-ქალთა ჯარი ლხინში“ (*ორბელიანი 1991:438*). ასევე გულისხმობს სუფრასთან ქალისა და „მის-მის ალაგს კაცის დასმის“ ადგილსა და წესს. სუფრას ბარაქიანობა უნდა ახასიათებდეს და უშუალოდ, „საამოვნო ჭამა და სმა“ უნდა ახლდეს. სუფრის მოვლაც მთელ რიგ წესსა და ადათს ემყარება: „ბევრგვარ უნდა ხილის დაჭრა, ბეჭის გათლა, დანის მოსმა“ (8). ზემოაღნიშნული წესები საქართველოში თაობიდან თაობას ზეპირად გადაეცემოდა და ხალხის ყოფის ნაწილად ითვლებოდა. დღემდე რჩებოდა სოფლად სუფრის მეზობლობაში გაწყობის წესი და ყოველ სოფელს ჰყავდა თავისი რჩეული ყოველი საქმის ოსტატობით, მათ შორის საკლავის დაკვლა-დაჭრის საქმისა და სუფრის გაწყობის წესის მცოდნე.

სუფრის აუცილებელი ატრიბუტია გართობა: „ზმა და ხუმრობა, სიცილი“, რომელსაც ახლავს პაექრობა „სხვის ზმისაც მალ გაცინება“. ზმასა და ხუმრობას კარგი გაგონებაც უნდა მოჰყვეს. არჩილ მეფე საკრავთა ჩამონათვალს გვაწვდის და ცეკვის სახეობებს ჩამოთვლის: „ზაპი, ცეკვა და სამაი, ჯუბანა“. „სამა“ საბასთან განიმარტება როგორც: „როკვა, შუმპარი“

(*ორბელიანი 1993:36*). სხვადასხვა დღესასწაულები უძველესი წარმართული დროიდან მოყოლებული სხვადასხვა ღვთაებებისა და კერპების თაყვანისცემის მიზნით ყოველთვის ტარდებოდა დიდი ზარ-ზეიმით, რომელსაც ახლდა სხვადასხვა თეატრალური წარმოდგენები. მსგავსი წარმოდგენები სამეფო კარზეც იმართებოდა და სხვადასხვა ხალხური საკრავებითა და სცენებით იმკობოდა.

სუფრასა და ქეიფს შერგება უნდა, „ვინც არწყევს, კარში გავაგდოთ“.

ჩაცმა თავისებურად მოითხოვს პეწსა და სილამაზეს, სათანადოდ მორთვას, რომელიც ცოდნას უნდა დაეფუძნოს და ჩაცმულსა და მორგებულს „უჩირქოდ წმინდათ ხმარება“ სჭირდება.

ქარქაშის მობორბლა, მეჯინიბობა, ცხენოსნობა თავისთავად გულისხმობს საბრძოლო ხელოვნებასა და ნადირობისა და ცხოველთა ფრინველთა სანადიროდ წვრთნის ოსტატობას. ძალი ზოგი მწევრად გაიწვრთნება, ფრინველი კი ბაზიერად. ცხოველისა და ფრინველის ზნის გამოცნობა ერისკაცს უნდა ახასიათებდეს. „წეროს გეზით დამჭერლობა“ საინტერესოდ გვაგონებს „დიდოსტატის მარჯვენაში“ კონსტანტინე არსაკიძის წეროზე ნადირობის საინტერესო სცენას, რომლითაც მეფე გიორგი იხიბლება და ფრინველის წვრთნის ამ ხელობას წინაპართაგან დატოვებული სწავლებით ფლობს არსაკიძე. ნადირობას ახლავს არა ერთი სწავლა: „კვლევა, დანახვა კურდღლისა, მეხოხბეობა, მწყერობა, სტვენა, წრუწუნი, ძახილი გავაზის, იხვის მზვერობა... ყავლი და წერობა, მალე მიშველა ფრინველისა, მუნ ადრე წამოწვერობა“ (25). სანადირო იარაღის მოვლაც სავაჟკაცო საქმეა: „ისრის თლა, სწორად გამართვა, გაქლიბვა, სეფქის გაწყობა, მშვილდის ჩაგდება, ყულაჯი, ქარქაშის კარგა ჩაწყობა, არც შორი-შორ და არც სულა ახლო ერთმანეთს მიწყობა“. ნადირობა სამხედრო წვრთნის საუკეთესო საშუალება იყო და მას სამხედრო-ადმზრდელითი ხასიათი ჰქონდა. საბრძოლო ხელოვნების ნიმუშებია: „აშფაშაქი და ყაბახი, ბურთის სროლა, მესეფობა, კარზედ ცხენის გაჭენება, ხელ-ძალიან ჯირითობა, მეთოფობა, ქვეითობა“ (14), ასევე „ჩოგნის მოხვრეტა, მობანდვა, სწორის ბურთისა გამოჭრა, ბურთობის დროსა ასპარეზს პირმხიარულად გამოჭრა, ცხენის მოხტომა უხელოდ“ (27) საბრძოლო ასპარეზზე სიფიცხლეს წვრთნის. ასევე „მოპაიტრობა სახმობის, ამორთმა, ხურდის ამოჭრა“ (27). ხმლის ცემა, ლახტის თამაში, შუბის ბრუნვა, საცერის წყობა, „მათრახის ბილდირგა რა შეუბისა“. ავტორს გარჩეული აქვს ისრის ფორმა: „სხვილი და გძელი“. ავტორის თქმით, ვისაც ეს საპარეზო თვისებები არ აქვს, დასაძრახია. ზემოჩამოთვლილი თვისებებით ჭაბუკები იწვრთნებოდნენ და ეს იყო წინასაომარი მზაობაც ერთგვარი.

საჭურველსაც ცნობა უნდა, გაწყობა, მორთვა, ომამდე მხდალსაც უხდება ომისთვის მზა ჯაჭვ-პერანგი. მეომრის აღზრდის ის წესები, რომელთაც არჩილ მეფე ჩამოთვლის ძირითადად ხალხურ გამოცდილებას ემყარებოდა. არ არსებობდა ცალკეული სასწავლებლები, რომლებიც საომარ თვისებებსა და წესებს თაობებს გადასცემდა. ოჯახები, საზოგადოება და, როგორც აღვნიშნეთ, ხალხური წარმოდგენები იყო ის საფუძველი, რომლითაც საომარ საქმიანობაში იწვრთნებოდნენ. მას შემდეგაც, რაც მსგავსი ტიპის სასწავლებელი შეიქმნა, აღზრდის ხალხური ტრადიციები არ გამქრალა. სხვადასხვა ასპარეზობანი, რომლითაც გმირები თავს გამოიჩენდნენ, საბრძოლო ხელოვნების ნაწილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი საზოგადოებრივი ფენა საომარ ხელოვნებას სათანადოდ და განსაკუთრებული წვრთნით ეუფლებოდა, დაბალი სოციალური წრის ფენებში საბრძოლო სწავლება ხალხურ, ტრადიციულ მეთოდებს ეყრდნობოდა. არჩილ მეფე არ მიჯნავს სხვადასხვა საზოგადოებრივი ფენების სწავლება-წვრთნის საქმიანობას. მისი მიმართვა საყოველთაო და უმეტესად საშუალო და დაბალი ფენის წარმომადგენლებს მიემართება.

მცურაობაც კარგია, თუმცა „სჯობს ნავთ ხმარება“. ყოველივე ზემოაღნიშნული ზნეობრივთან ერთად ფიზიკური წრთობის მაგალითებია. წყალთან დაკავშირებული ზნე-ჩვევანიც ოსტატობაა: „წყლის წურვა და ბადის სროლა“. ლოცვა, შრომა და ბრძოლა საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალა იყო და სარჩოსაც, ქართველი კაცი შრომის, ასპარეზობის, თევზაობის, ნადირობის ხალხური ტრადიციებით მოიპოვებდა. არჩილ მეფე საზოგადოების ზნეობრიობის ნიშნად შრომასაც ასახელებს და წერს, რომ შრომა და შრომის ხელოვნება კარგ ზნედ მიიჩნევა. ბარვა, წიდნვა, ხვნა და თესვა, მკისა და სთვლის საქმეები თავის დროზე უნდა შესრულდეს. მოსავალი ადამიანს ახარებს და დოვლათს მატებს. კაცს სახელი ამშვენებს და კარგ კაცს ცნობაც უნდა. ყოველივეს დროისა და ალაგის ცნობა ზნეობის მაგალითია. უფროს-უმცროსის გარჩევას ხალხური სიტყვის მასალით იმოწმებს ავტორი: „სწორ უმფროსულ-უმცროსულსა ქართლსაც აქვს დასახვა; ვინცა იცის ყველაკაი ბევრის საქმის მონახვა“ (57).

მიუხედავად იმისა, რომ არჩილ მეფე მიუთითებს მასწავლებელზე, რომელმაც თავის მოსწავლეს „მცირედ-მცირედის სწავლებით“ უნდა გაუადვილოს სწავლა-სწავლების პროცესი, ის არ მიაწინებს, ვინ არის ეს მასწავლებელი და სად ხდება ეს სწავლება. რაც იმას გულისხმობს, რომ კონკრეტული სასწავლებელი და სასწავლებლის მასწავლებელი კი არ არის საქართველოში, არამედ მასწავლებელია ყველა, ვისაც ევალება საასპარეზო, სანადირო და საბრძოლო ხელობა

გადასცეს ახალ თაობას სწორად და სათანადოდ, ხელობა, რომელიც მას ზეპირი გზით გადმოეცა წინაპრებისაგან და მოვალეა ასევე გადააბაროს ის შემდგომ თაობებს.

მეფე-პოეტი „სევდის დასადუმარ“ გართობებსაც ჩამოთვლის: „ჭადრაკის მღერა, ნარდისა და სხვა რაც რამა ყუმარი, ხარდიორდა და ჩალიჩი“ (17), რომელთაც ახლავს გასართობად მოგონილი თამაშობები: „ხტომა, ქვის გდება, რკინობა, მოგვერდი, ფანდიც რამ არი“. იმის მაგალითად და დასტურად, რომ მსგავსი ფიზიკური უნარები პიროვნებას აამაღლებს და ზნეობრივად სრულყოფას მისას არაფერს დააკლებს, ავტორი „ვეფხისტყაოსნის“ ფრიდონის მაგალითს მოიხმობს: „ვერ ხედავთ ფრიდონისასა, მუშაითობას ჩემულობს, საბელზედ გავლა-ხტომასა თამამად, ართუ მოზარობს“ (18). ფრიდონის დროის ცოდნა და უნარები ტარიელისა და ავთანდილის წინაშეა გაცხადებული და არჩილ მეფე მოგვიწოდებს ამ თვისებებს „ნურვინ მცონარობს“. „მუშაითობა“ თოკზე გავლა უძველესი საკრალური რიტუალების გადმონაშთია. თოკი, ჯაჭვი, შიბი ცასა და მიწას აკავშირებდნენ ერთმანეთთან და ადამიანის ღმერთთან კავშირს უზრუნველყოფდა. რუსუდან ცანავა ამ საკითხზე ვრცლად მსჯელობის შემდეგ მიუთითებს: „მათ დაკარგეს საკრალური ფუნქცია და გასართობად იქცნენ“ (ცანავა 2012. 341-350). ჰინდიც აქლემებზე გადახტომის ხელოვნებაა, ჰაერში გადაბრუნება „ხელ-დაუკრავად“, „ორს ცხრას იქით-აქ ხელჭერილს შიშვლის ხმლით შიგ გახტებოდა“ (19). მოქნილობისა და ოსტატობის მაგალითია გაჭიმულ შალზე გავლა, მახვილების ბორბალშიგან გასვლა და „არა სჭრისა“, ფეხების ქედზე დაწყობა, თავთან დარჭობილ ხანჯალზე გულადმა წოლა, „ანაზდად ახტის პირდაღმავ, მუნით გულდაღმავ დაეცის, იმის წვრით თვის წვერს მყოფლობდა“ ამ და მსგავს საკვირველ სანახაობას ხალხი გაკვირვებული შესცქერის. ექვსი კაცის დასაჭერი ხის კბილებით ჭერა, გულმკერდზე ოთხი ხარის გასატანი ძელის დადება, მახვილებზე წოლა, უცხოს ეძახის ხმელეთზე თევზივით ცურვის ხელოვნებას. ამ ოსტატობებს ავტორი ერთს მიაწერს, რომელმაც ის არავის ასწავლა, სურდა მეფემდე მიეტანა თავისი საკვირველი ხელობანი. მსგავსი აკრობატები, როგორც ჩანს, უცხო ქვეყნიდან არიან მოსულები და თავიანთ რეპერტუარს წარადგენდნენ ხალხის წინაშე, არჩილ მეფეც აკრობატს „შავს“ უწოდებს: „მაგრამ ის შავი არ დადგა, არავის არ ასწავლაო“.

არჩილ მეფეს არც სამგლოვიარო წეს-ჩვეულებები გამორჩენია: „მოტიროლობა, გლოვის წესი, ზარი, ახა“, რომელსაც ახლავს ხალხური ხორცის არ ჭამის წესი.

ფოლკლორული თვალსაზრისით ირჩევა მთვარის მოქცევის მიხედვით ადამიანის ყოფაცხოვრების დეტალები: „თუთხმეტის დღისა მთვარესა შეჭურვა ვინ სულ დაასწროს, ვირე სრულ ამოვიდოდეს, ცხენზედაც შეჯდეს, მიასწროს“ (30).

თითო ზნეობად ჩასაგდება მეტი ენისა და წიგნის ცოდნა. „მწიგნობრობა, ძველ ძლისპირთა გარდათქმა, მსმენელობა, მთარგმნელობა, ღრმის სიტყვის ადვილ გამოთქმა, ხუცურის და მხედრულისა სხვადასხვაობს თვითოსა თქმა“ (32). კარგი სიტყვის თქმა ოსტატობაა და ადვილად გასაგები სიტყვა სიბრძნეა, კარგ სიტყვას კარგად ჩამორთმევა უნდა: „კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდაო“ (ხალხური). სიტყვა და სიტყვის ფასი კაცობისა და ზნეობის ნიშანია. ცრუ სიტყვა კი არმოსასმენი და დასაძრახია. აქ არჩილ მეფე დასძენს საინტერესო ზნეობათა ჩამონათვალს: „მოჩივრობა, მეკენჭაობა, რიცხვთცოდნა, რამლის ყრა“. ეს უკანასკნელი ქვიშაზე მკითხაობას გულისხმობს, ასევე ასახელებს „მესტროლაბობას“, ანუ ვარსკვლავთმრიცხველობას, „მეკოჭაობას“ – კენჭით მკითხაობას, „მებეჭაობას“ – ბეჭზე მკითხაობას და შენიშნავს, რომ ამათგან „ცრუდ თქმულა მებეჭაობა“. მეტი სიცხადისთვის მოვიყვანთ კონკრეტულ სტროფს სრულად: „ანგარიში და რიცხვთცოდნა, ჩაგდება, მეკენჭაობა, რამლის ყრა, მესტროლაბობა, ზნევეა მეკოჭაობა, ისიც კი არის, მაგრამე ცრუდ თქმულა მებეჭაობა“, როგორც ნათლად ჩანს, ზნედ ასახელებს ყველას, მხოლოდ „ცრუს“ უწოდებს ბეჭზე მკითხაობის ხალხურ ადათს. ის არ ემიჯნება ხალხურ ქვიშასა და კენჭებზე მკითხაობის ზნეს, თუმცა გამოაცალკეებს ბეჭზე მკითხაობის ხელობას, როგორც ცრუს.

არჩილ მეფეს „საძილოდ არაკაია“, ანუ ძილის წინა ზღაპრობაც არ გამორჩენია: „მეზღაპრეობაც ივარგებს“ (75). მან პირველმა აიმაღლა ხმა „ზღაპრულ-ნაჭორი“ ამბების გალექსვის წინააღმდეგ (გვარამამე, დისერტაცია), „ზღაპრობას“ მეფე-პოეტი „სპარსთა ნაჭორს“ უწოდებს და მას უპირისპირებს „მართლის თქმას“. თუმცა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ის ფოლკლორულ ზღაპარს გულისხმობს და მეზღაპრეობის ხალხურ ტრადიციებზე მიანიშნებს, რომელსაც არ გმობს და ამბობს, რომ „ივარგებს“.

არჩილ მეფე ასახელებს, რომ „საქართველოში იტყვიან სამას სამოცდახუთსაო ზნეობას... მაგრამ მე ვგონებ უფრო ბევრს ხუთათასაო“ (101). ის არჩევს ხალხურად დასახელებულ სამას სამოცდახუთ ზნეობას, თუმცა ეს სიმბოლური ციფრია და მისი სიმბოლოც ფოლკლორითაა ნაკარნახევი. ხალხურ სიტყვიერებაში შემორჩენილია 365 წმინდა გიორგის სახელით დალოცვა, რომელიც ლეგენდის თანახმად უკავშირდება გადმოცემას წმინდა გიორგის 365 ნაწილის შესახებ. ლეგენდის თანახმად, როცა წმინდა გიორგი სიკვდილით დასაჯეს, მისი სხეული 365

ნაწილად დაჰყვეს და საქართველოს ტერიტორიაზე მიმოფანტეს. სხვა გადმოცემის მიხედვით, საქართველოში იმდენი ეკლესიაა წმინდა გიორგის სახელობისა, რამდენი დღეცაა წელიწადში. 365 საკრალური ბუნება მხოლოდ წმინდა გიორგის არ უკავშირდება იგი ვრცელდება ქართულ ხალხურ წარმოდგენებში. ამირანის შესახებ გადმოცემათა რაოდენობაც სამას სამოცდახუთია.

არჩილ მეფის მოწოდება „მართლის თქმისა“, რეალური ამბების გასაგებად და მარტივ ენაზე მკითხველთან მიტანისა, ვერ მოხდებოდა ხალხური ტენდენციების გარეშე.

შეიძლება ითქვას, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით არჩილ მეფის „საქართველოს ზნეობანი“ უნიკალური ნიმუშია, რომელშიც ქართველი, და არა მარტო ქართველი, ხალხების კულტურულ-ყოფითი რეალიებია გადმოცემული. ის საქართველოს ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალებს გვაწვდის, აღწერს ყოფა-ცხოვრების, სამეურნეო და სხვადასხვა გასართობ სახეობებს, სამოსს, შრომისა და ბრძოლისა თუ ნადირობის იარაღებსა და ზნე-ჩვეულებებს არა მარტო მონადირის, არამედ ცხოველთა და ფრინველთა ზნეთა გათვალისწინებით. სხვადასხვა სულიერი კულტურის, სამეურნეო, მატერიალური თუ ზნეობრივი თავისებურებები გააზრებული და წარმოდგენილია ქვეყნის ბუნებრივ გარემოსთან. არჩილ მეფე იძლევა არა მარტო ქართული ყოფის მასალების შესახებ ცნობებს, არამედ ჯამბაზობის, სხვადასხვა გასართობი ხელობის შესახებ უცხოელთა მიერ წარმოდგენილი საინტერესო მასალებით ამდიდრებს ქართულ ზნეობრივ და ყოფით ელემენტებს. მეფე პოეტი ქვეყნის კულტურული საკუთრების შესახებ დეტალებს მიჯნავს ისტორიული თუ პოლიტიკური საკითხებისაგან. ამდენად იძენს „საქართველოს ზნეობანი“ ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

#### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

**გვარამაძე 2014** : სოფიკო გვარამაძე, *არჩილ მეფის შემოქმედების მხატვრული სამყარო*, სადოქტორო ნაშრომი შესრულებულია ფილოლოგიის დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი 2014.

**თოფჩიშვილი 2013** : როლანდ თოფჩიშვილი, *ეთნოლოგიური მეცნიერების შესავალი*, თბილისი 2013.



**მინდაძე 2008** : ნინო მინდაძე, *მეომრის აღზრდის ტრადიციები და სამხედრო მედიცინა ძველ საქართველოში*, მეომრის ბიბლიოთეკა N8, თბილისი 2008.

**ორბელიანი 1991** : სულხან საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული* .

**ორბელიანი 1993** : სულხან საბა ორბელიანი, *ლექსიკონი ქართული* .

**ცანავა 2012** : რუსუდან ცანავა, *მუშაითობა-ჯამბაზობის გაგებისათვის*, VI საერთაშორისოსიმპოზიუმში ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები შუა საუკუნეების ლიტერატურული პროცესი, საქართველო, ევროპა, აზია, მასალები ეძღვნება „ვეფხისტყაოსნის“ პირველი ბეჭდური გამოცემის 300 წლისთავს, ნაწ. 1, თბილისი, 2012.